საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თადუმაძე თამაზ აბესალომის ძე

თადუმაძე თამაზ აბესალომის ძე (დ. 6. XII. 1947, სოფ. ხუნჯულაური, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1996). 1970 დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. 1973–2006 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში. 1992-იდან არის თსუ-ის პროფესორი. თ-ის სამეცნ. კვლევების მიმართულებებია: ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები, არსებობის თეორემები, რეგულ. შეშფოთებები და მიახლოებითი მეთოდები ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების შემცველი ოპტიმალური მართვის ამოცანებისათვის; კოშის ამოცანის კორექტულობა, ამონახსნის ვარიაციის ფორმულები და შებრუნებული ამოცანები ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის. მიღებული აქვს საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. პრემია (2001).

თხზ.: Абстрактная вариационная теория и ее приминения к оптимальным задачам с запаздываниями, Тб., 1973 (თანაავტ.: Г. Л. Харатишвили, З. А. Мачаидзе, Н. И. Маркозашвили); Некоторые вопросы качественной теории оптимального управления, Тб., 1983.